პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 იანვარი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 6 (15219)

მამაცური შრომით აღვნიშნოთ ახალი წლის ყოვლადი დღე

მათ თავი ისახელეს



როცა ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის, ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოწინავე მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ემხაძე. მას მშობლიურ საწარმოში მალე ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შორის არიან მძღოლები შ. გობეჯიშვილი და გ. გიგაური, რომლებმაც შარშანდელი ტვირთნაზიდვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ათობით ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს.

სურათზე: მოწინავე მძღოლები შ. გობეჯიშვილი (მარჯვნივ) და გ. გიგაური.

ფოტო ა. კაკაბაძისა.

№ 6 (15219)

საბჭოები და ხუთწლედი

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში ხუთწლედის პირველ წელს აღებული შრომის მაღალი ტემპი კიდევ უფრო ძლიერდება, სულ უფრო იზრდება იმ მუშათა რაოდენობა, რომლებიც ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ. შაბრიკებისა და ქარხნების, მაღაროებისა და შახტების კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის პირველი ხუთი დღის დავალება. შრომითი კოლექტივები ეძებენ რეზერვებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში

ქართული ავტომობილის მშენებლებმა ვადამდე, გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის დავალება. გეგმის გადამეტებით მოამზადინეს ასეული ათასობით მანეთის ღირებულების პროდუქციის რეალიზაცია.

ქარხნის კოლექტივმა რიტმულად და გამართულად დაიწყო ხუთწლედის მეორე წელი. ამ დღეებში აქ ანალიზი გაუკეთეს გაწეულ მუშაობას, გამოიანგარიშეს არსებული რეზერვები და მოსკოველთა თაოსნობის პასუხად ახალი ძალით გააჩაღეს შეჯიბრება მიმდინარე წლისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა: ხუთწლედის დავალება შეასრულოს 1975 წლის 5 დეკემბრისათვის, ხოლო მიმდინარე წლისა — 25 დეკემბრისათვის, ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასობით ავტოსაწევარი და ნახევრადმისაბმელი, 250 ათასი მანეთის სამეურნეო ნაწილება;

1974 წელს დაამთავროს წარმოების მომზადება ახალი კაბინის გამოშვებისათვის და 1975 წელს დაიწყოს მისი სერიული გამოშვება;

რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით მიმდინარე წელს ხუთწლედის ფონდში 600 ათასი მანეთი შეიტანოს, ხოლო მთლიანად ხუთწლედში — 3 მილიონი მანეთი, დაზოგოს 8 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

1972 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასეული ათასობით მანეთის პროდუქცია, გასულ წელთან შედარებით ფართო მოხმარების საგნების გამოშვება გაადიდოს 15 პროცენტით;

რენტაბელობის დონის ამაღლებითა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

ავტომშენებელთა ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე მეცხრე ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა დანერგვას, მუშათა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. (საკ. კორ.).

თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში

თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ ავტომეურნეობებს შორის. აქაური მძღოლები არაერთი კარგი ინიციატივით გამოსულან, ფართოდ გაუწაღიებიათ შეჯიბრება სახელმწიფო დავალებების ვადამდე შესრულებისათვის. გასულ წელს მათ მოწინავე მძღოლს, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ემხაძის თაოსნობით ავტოტრანსპორტელთა შორის პირველებმა დაიწყეს შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებამ კარგი შედეგი მოიტანა. საწარმოს კოლექტივმა წლიური პროგრამა ვადამდე დაძლია, უწუნოდ, უავარიოდ იშრომა და დიდძალი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ტვირთები გადაიტანა.

წელს ავტოტრანსპორტელები მეტის გაკეთებას ფიქრობენ. მომავალი გეგმების შესრულებისათვის სრული მზადყოფნის ნიშნით ჩაიარა საწარმოს კოლექტივის საერთო კრებამ, რომელზეც მძღოლებმა და შემკეთებლებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები აიღისრეს 1972 წლის დავალებისა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ავტოტრანსპორტელებმა გადაწყვიტეს: **ტვირთნაზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლედისა — 1975 წლის 5 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 70 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი;** 1971 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება საშუალოდ ერთ მომუშავეზე აამაღლონ 1,5 პროცენტით, ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი — 1,2 პროცენტით, ავტომობილების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი — 1,5 პროცენტით, ყოველ 10 ტონა-კილომეტრის თვითღირებულება შეამცირონ 2 პროცენტით, 1972 წელს მიიღონ 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, 20 პროცენტით გაადიდონ ერთიერძიანი თვითსაცლელი მისაბმელებით გადაზიდული ტვირთის მოცულობა, საექსპლოატაციოდ გადასცენ ავტომობილების დიაგნოსტიკის პოსტი, ააშენონ საცხი და საშენი მასალების საწყობის შენობა, აგრეთვე ახალი კეთილმოწყობილი სასადილო და დასვენების კუთხე.

კვლავაც გააფართოონ რაციონალიზატორული მოძრაობა, მასში დამატებით მიიზიდონ 35 ნოვატორი, წარმოებაში დანერგონ 2 გამოგონებითა და 10 რაციონალიზატორული წინადადებით. მეტი, ვიდრე გასულ წელს; სულ უფრო მეტი მუშაკი ჩაებან ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისა და კომუნისტური შრომის დამკვრელის სამატიო წოდების მოპოვებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. (საკ. კორ.).

თბილისის კერამიკულ კომბინატში

კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული კომბინატის კოლექტივმა ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადამდე შეასრულა და გეგმის გადამეტებით მოახდინა 33 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. კომბინატელებმა ახალ წელს კიდევ უფრო გააძლიერეს შრომის ტემპი და იანვრის ხუთი დღის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით უნდა გამოეშვათ 7.548 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, ფაქტიურად გამოუშვეს 8.313 კვადრატული მეტრი, ასევე გადაჭარბებით შეასრულეს მხატვრული კერამიკული ნაწარმის გამოშვება.

კერამიკოსებმა თავიანთ სამეურნეო აქტივის კრებაზე განიხილეს გასული წლის შედეგები, ილაპარაკეს ახალ რეზერვებზე და ერთსულოვნად გადაწყვიტეს: მიმდინარე წლის გეგმა 26 დეკემბრისამდის შეასრულონ, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 ათასი კვადრატული იანვრის პირველი ხუთი დღის დავალება ყველა უბანზე გადაჭარბებით შესრულდა.

საწარმოს კოლექტივმა გულდასმით განიხილა გასული წლის მუშაობის შედეგი, გადასცდა ახალ შეჯაძლებლობებს და ერთსულოვნად გადაწყვიტა: მეცხრე ხუთწლედის გეგმა შეასრულოს 1975 წლის 1 დეკემბრისამდის, ხოლო 1972 წლისა—20 დეკემბრისამდის. გეგმის ზემოთ გამოუშვას 10 ათასი დეკალიტრი ღვინო და მოუსდინოს 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია.

1972 წელს შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით აამაღლოს; ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიური ხარჯვით გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 15 ათასი მანეთით შეამციროს. დაზოგოს 10 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 5 ათასი ტონა პირობითი საწვავი; მიიღოს 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მიმდინარე წელს დაამონტაჟოს 1500 დეკალიტრი ტევადობის 50 ემალირებული ცისტერნა, შეიძინოს და დაამონტაჟოს საჩამომსხმელო ხაზი საათში 6000 ბოთლის წარმადობით. არსებული საჩამომსხმელო ხაზებზე მოაწყოს ბოთლების ავტომატური დახუფვა; დანერგოს 8 რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც 5 ათას მანეთი პირობით ეკონომიას მიხეცს.

ტექნიკური პროცესების სწორად გატარებითა და ნედლეულის მომჭირნედ ხარჯვის შედეგად მიიღოს 150 დეკალიტრი ღვინის ეკონომია.

მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გატარებით ხელით შრომა შეამციროს 10 პროცენტით;

კეთილმოობაწყოს ქარხნის ეზო, დეკორატიული სკვერები, ტერიტორიის აუთვისებელ ადგილებზე გააშენოს გაზონები ყვავილნარებით და ბუჩქნარებით, დამატებით დარგოს ბუჩქოვანი და სხვადასხვა დეკორატიული მცენარეები.

კიდევ უფრო აამაღლოს ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობა, ჩაატაროს შეჯიბრებები შიდა საქარხნო მასშტაბით სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში, მძღოლობისა და სხვა სახეობებში; მოამზადოს 5 თანრიგოსანი, დანერგოს საამქროებში საწარმო ტანვარჯიში.

ვალდებულება განხილული და მიღებულია ქარხნის სამეურნეო აქტივის კრებაზე.

აი რა იკისრეს

ქარხანაში

ბაბჭოები, გვასწავლიდა დიდი ლენინი, წარმოადგენენ „მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის მუდმივ და ერთადერთ საფუძველს“. ამ ერთ ფრაზაში დიდი ბეჭმარიტებით, ღრმა მეცნიერული სიზუსტით არის განსაზღვრული საბჭოების როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე.

ცხადია, ჩვენს დროში, როცა დღის წესრიგში დგას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდი ამოცანა, კიდევ უფრო მაღლდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომაში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის XXIV ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისადმი და მოითხოვა, რომ ისინი უფრო სრულად ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს, ქმედით გავლენას ახდენდნენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, უფრო მეტად ზრუნავდნენ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უკეთ მოწყობისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. პარტიის ამ დიდი ზრუნვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ის დიდი ღონისძიებანი, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის უკანასკნელ ხანს შეიმუშავა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ამაა წინათ მიიღო კანონები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ. ამ კანონებში უთანაგრესი სიახლეები ის არის, რომ სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში განსაკუთრებით მაღლდება რაიონული და საქალაქო საბჭოების როლი, რომ ისინი კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

ამრიგად, საბჭოებსა და მათს დეპუტატებს ახლა დიდი შესაძლებლობანი აქვთ გავლენა მოახდინონ საქმის საერთო ვითარებაზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე საბინაო-კომუნალურ მშენებლობაზე, ვაჭრობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, სახალხო განათლებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობაზე.

ამ დღეებში თბილისის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციები აჯამებენ გასული წლის შედეგებს, სახავენ გზებს მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საწარმოებში საერთო კრებები მიმდინარეობს დეკანოზი: ვადამდე შეეასრულონო ხუთწლედი! მიმდინარე წლის პირველნი დღეებმა გვიჩვენა მშრომელთა დადი ენთუზიაზმი, ერთსულოვნება და იმისათვის მზადყოფნა, რომ წარმატებით შესრულდეს გაზრდილი პროგრამა. რეზერვების ძიებაში მიმდინარეობს ფართო, პატრიოტული კომპანია — ახალი გაზრდილი ვალდებულებების აღება 1972 წლისა და ხუთწლედის ვადამდე გადაჭარბებით განაღდებისათვის. ამ პატრიოტულ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ და მასებს რაზმავენ საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატები. ამ დიდ შემოქმედებით შრომაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომუნისტ დეპუტატებს, რომლებიც წარმომადგენლობითი ორგანოების ბირთვს შეადგენენ, მათ განსაკუთრებით მოეკითხებათ საბჭოს მუშაობისათვის, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის. კომუნისტი დეპუტატის საქმიანობითა და ქცევით ადამიანები მსჯელობენ პარტიის წინაშე მისი პასუხისმგებლობის დონის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს საქმით მის პოლიტიკას. იგი, კომუნისტი დეპუტატი, უწინარეს ყოვლისა პასუხისმგებელია იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანები მტკიცედ იდგნენ მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, განამტკიცებდნენ კავშირს მასებთან.

საბჭოებისათვის დაკისრებულ ყველა საქმეში თვითეული დეპუტატი უფრო სრულად უნდა იყენებდეს თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. იგი რეგულარულად უნდა მიდიოდეს თავის ამომრჩეველებთან, ეცნობოდეს მათს ამბებს, ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა მოვლენის საქმის კურსში უნდა იყოს.

თელავის რაისაბჭოს აღმასკომი ხშირად აწყობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ეხმარება დეპუტატებს, აქტივს, ამომრჩევლებს რაიონის წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული ამოცანების შესრულებაში. ამას წინათ აქ მოეწყო „დეპუტატის დღე“, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები, ამომრჩეველები, მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილობრივი საბჭოების ამოცანებზე, დეპუტატის უფლება-მოვალეობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაში მის როლზე, ამხანაგური სახამართლოების მუშაობის ორგანიზაციაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აქტუალურ საკითხებზე და სხვ. დეპუტატთა, აქტივის წინაშე გამოვიდნენ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ცხადია, ასეთი შეხვედრები, რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის ასეთი მეთოდები ხელს უწყობენ დეპუტატთა მოღვაწეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, მათ მიერ ამომრჩეველთა განაწესის პირნათლად შესრულებას, მშრომელთა დარაზმვას ახალი ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოებს არასოდეს არ ჰქონიათ იმდენი საბრძოლო, საინტერესო სამუშაო, როგორც ახლა. საბჭოებმა ხალხისაგან მიიღეს განაწესი— ყოველი ღონე იხმარონ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. საბჭოები ახლა იმაზეც უნდა ზრუნავდნენ, თუ როგორ მუშაობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, როგორ ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. საბჭოები უნდა დაეხმარონ მეურნეობებს სამეურნეო წინსვლაში, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, გამოიყენებელი რეზერვების ამოქმედებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. მშრომელთა ფართო მასების დარაზმვაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

სწორედ ასეთი საკითხების განხილვას მიეძღვნა ამას წინათ ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის მორიგი სხდომა, რომელიც გაიმართა მუხალსტატეს სასოფლო საბჭოს აღმასკომში. სხდომას ესწრებოდნენ მუხალსტატეს, წყავროკის, ალამბრის, ზენითის კოლმეურნეობების წარმომადგენლები. რომლებმაც უაღრესად საქმიანად განიხილეს ამ სოფლებში შემავალ კოლმეურნეობათა მუშაობა, დასახეს სათანადო ღონისძიებები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების. შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და მოსკოველთა მაგალითისამებრ საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები აიღისრეს, განსაკუთრებით დიდი ამოცანები ისახება ადგილობრივი საბჭოების წინაშე. ისინი მოწოდებული არიან დარაზმონ ხალხის ფართო მასები, გასწიონ ორგანიზატორული მუშაობა პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის და ამით თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენს დიად საშობაოზე

აღზრდისა და ოსტატობის სკოლეგი

200 ათასზე მეტი კომუნისტური შრომის სკოლა მუშაობს ახლა სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სატრანსპორტო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქვეყნის მომსახურების სფეროში. ამ სკოლებში სწავლობს ექვს მილიონამდე კაცი.

ეს ციფრები მოიყვანეს დარგობრივი პროფკავშირების მთელი რიგი ცენტრალური კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე, რომელიც 6 იანვარს გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოში. განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომუნისტური შრომის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. (საკდესი).

ახალახან გამოიცა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა განაგრძობს სასწავლო და თვალსაჩინო სახელმძღვანელოების გამოცემას პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის, რომლებიც პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობენ.

ამ უკანასკნელ დღეებში გამოიცა:

მეცნიერული კომუნიზმის კურსის ქრესტომათია. წიგნი შეიცავს კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს (მთლიანად ან ნაწილობრივ), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. მასალა განლაგებულია თაავების მიხედვით მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების მეცნიერული კომუნიზმის დაწყებითი კურსის პროგრამის შესაბამისად.

„პარტიული მშენებლობა“ — სასწავლო სახელმძღვანელო, დაწერილი ავტორთა კოლექტივის მიერ ნ. ა. პეტროვიჩევის ხელმძღვანელობით. ახალი, შეესებული გამოცემა. წიგნში ასახულია სკკპ XXIV ყრილობის მასალები.

წარმოების სიახლენი

● **კემეროვო.** კუზბასელმა მეშახტეებმა პირველი მილიონი ტონა ქვანახშირი ამოიღეს ახალ წელს. კუზნეცკის აუზი ხუთწლედის მეორე წელს სამშობლოს მისცემს 121 მილიონ ტონაზე მეტ სათბობს, რაც 4,5 მილიონი ტონით აღემატება შარშანდელს.

● **ანზობი.** (ტაჯიკეთის სსრ). ანზობის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგმა გამოუშვა პირველი პროდუქცია — სტიბიუმ-ვერცხლისწყლის კონცენტრატი. ხუთწლედის დამლევისათვის კომბინატი შუა აზიის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იქნება.

● **დონეცკი.** **გეოლოგებმა რკინის მადნის მდიდარი საბადო აღმოაჩინეს ქალაქ უდანოვის ახლოს. მადანი შედარებით მცირე სიღრმეზეა განლაგებული, რაც დამმუშავებლებს საშუალებას აძლევს მეტალურგიული ნედლეული ღია წესით მოიპოვონ.**

● **ნიპროპეტროვსკი** (დნეპროპეტროვსკის ოლქი). ოქტომბერიანის მეტალურგიულ ქარხანაში ამოქმედდა ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ფოლადის მილების უწყვეტი გლინვის საამქრო, იგი მუშაობს რეჟიმით, რომელიც საპროექტო სიმძლავრეს აღემატება. წლის პირველ დღეებში დამატებით გამოშვებულია ათასზე მეტი ტონა მილები.

ეცნობიან ჩილეს

სანტიაგო. 7 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. პ. კირილენკო, და რომელიც ჩილეში იმყოფება ჩილეს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, მეული რიგი სხვა მოძმე პარტიების დელეგაციებთან ერთად გუშინ ესტუმრა ქალაქ კალერას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. მოეწყო გულთბილი, ამხანაგური შეხვედრა კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტის აქტივისტებთან და ქალაქის სულიერფალთა წარმომადგენლებთან.

ეს ოქროს ფასია

ეროვნული ფერადი

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ზეგაკვლევას აძლიერებენ

ვაშინგტონი. 7 იანვარი. (საკდესი). სან-კლემენტში (კალიფორნიის შტატი) დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის პრეზიდენტ რ. ნიქსონსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს ე. სატოს შორის.

მოლაპარაკების მსვლელობაში, წერს „ვაშინგტონ პოსტი“, დიდ ყურადღებას დაუთმობენ „უთანხმოებებს, რომლებმაც სერიოზულად შეასუსტეს შეერთებული შტატებისა და იაპონიის ურთიერთობა“. პრეზიდენტი რ. ნიქსონი, აცხადებს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო, შეეცდება „მოსპოს ბზარი იაპონიასთან ურთიერთობაში“, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის დარგში ამერიკის პოლიტიკისა და ამერიკა-ჩინეთის დიალოგის შედეგად.

მოლაპარაკებაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაერმობა ეკონომიურ და სავაჭრო წინააღმდეგობებს ორ ქვეყანას შორის. იაპონიამ აშკარა ბრძოლა გამოუცხადა შეერთებულ შტატებს მსოფლიოს ბაზრებზე. ამის პასუხად ვაშინგტონმა განახორციელა მთელი რიგი დისკრიმინაციული ღონისძიებანი ვაჭრობისა და ფინანსების დარგში, რათა შეესუსტებინა იაპონიის საქონლის კონკურენტუნარიანობა.

ამერიკის ბანკირთა ინტერესები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ე�ოვნული ეკონომიკა

ეროვნული ორგანიზაციები

ერო

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში იმართება პარტიულ ორგანიზაციათა აქტივების კრებები, რომლებიც იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებს.

შეკრებილნი ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას.

სამტრედიის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **დ. გოგოხიამ.**

ჩოხატაურის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა **ვ. თოხაძემ.**

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრმა **გ. რობიტაშვილმა** გააკეთა მოხსენება **ქარელის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

რესპუბლიკის სასოფლო შენებლობის მინისტრმა **ი. ხარაბიშვილმა** გააკეთა მოხსენება **ზუგდიდის** საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

ცხინვალის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. შარაშიძემ.**

კრების მონაწილეთა მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. (საქდესი).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდა კომუნისტების ამოცანებს მიეძღვნა ახალგაზრდა კომუნისტთა საქალაქო შეკრება, რომელიც ამ დღეებში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო.

საქალაქო შეკრება იმითაც იყო საინტერესო, რომ მოხსენებებით უმთავრესად გამოვიდნენ თვით ახალგაზრდა კომუნისტები. „პარტიის XXIV ყრილობა პარტიის წევრობის გაზრდილი მოთხოვნების შესახებ" — ასეთი იყო თემა მოხსენებისა, რომლითაც ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ლ. თანდილაშვილი გამოვიდა.

ახალგაზრდა კომუნისტებმა მოიხმინეს აგრეთვე მოხსენებები: „ახალგაზრდა კომუნისტი და პარტიული კრება", „პარტიის XXIV ყრილობა კომუნისტების იდეურ-თეორიული ცოდნის ამაღლების შესახებ", „ახალგაზრდა კომუნისტების როლი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად ახალ თაოსნობათა გაგრეცელებაში", „მართლწესრიგის დარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებანი".

შეკრების მონაწილეებს ესაუბრნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ვარდანაშვილი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლ. ფანწულიძე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა ლენინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივნის ი. ბუაძის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან მუშახტა კომუნისტები პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყრილობის შემდეგ შახტში გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი, სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი. კარგი ღონისძიებები განხორციელდა მშრომელთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამასთან ბიუროს სხდომაზე ითქვა ისიც, რომ პარტიული კომიტეტის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. შახტში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომის დისციპლინა, ადგილი აქვს მუშთა დენადობას. სათანადო ყურადღება არ ექცევა ლექციურ პროპაგანდას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. ამას წინათ პარტიის რაიკომის მორიგმა პლენუმმა მოისმინა რაიონულ გაზეთ „ბატრიონის" რედაქტორის **ვ.** ლებანიძის ანგარიში, თუ როგორ იბრძვის გაზეთი სკკპ XXIV ყრილობის შემდგომ პერიოდში მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

„ბატრიონის" რედაქტორმა **ვ.** ლებანიძემ პლენუმს მოახსენა ის მნიშვნელოვანი თემები, რომლებსაც გაზეთი აშუქებს. მოხსენებაში ითქვა გაზეთის იქ დიდი ამოცანებზე, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

პლენუმზე საქმიანი შენიშვნები და წინადადებები წამოაყენეს კომთის მონაწილეებმა, აღნიშნეს გაზეთის მუშაობის ზოგიერთი ნაკლი.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება გაზეთის რედაქციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ლ. ᲔᲚᲐᲠᲗᲘᲐ.

„ᲬᲧᲐᲚᲛᲨᲔᲜᲘ" ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲣᲭᲘᲠᲡ

საქართველოში ირიგაციის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. მეთორმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში კი სარწყავი არხების მშენებლობა ფართო მასშტაბით გაიშალა, რაც საირიგაციო მშენებლობის მაღალი ტექნიკის მანიშნებელია. მეთორმეტე საუკუნით თარიღდება შიდა კახეთის სიგრძით 120 კილომეტრი აღაზნის არხი, რომელიც 50 ათას ჰექტარზე მეტ ფართობს რწყავდა (აღსანიშნავია, რომ ამ არხის ნაკვალევი დღესაც ჩანს შიდა კახეთის ტერიტორიაზე). თამარის ეპოქას ეკუთვნის აგრეთვე ტირიფონის, დოღალაურის, გარდაბნის და სხვა სარწყავი არხები. მაგრამ გამუდმებული ომებისა და უცხოელ დამპყრობთა შემოსევების წყალობით ყველაფერი განადგურდა, მოისპო და უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისათვის ამ არხების მხოლოდ ნანგრევები და ნაკვალევიღა თუ დარჩა.

არც თვითმპყრობელობის რეჟიმის დროს ექცეოდა დიდი ყურადღება საქართველოში სარწყავი არხების მშენებლობას. ცარიზმის ბატონობის ხანგრძლივ პერიოდში აგებულ იქნა ერთადერთი საინჟინრო სისტემა — ფარაიზისა, რომელიც თერმეტი ათას ჰექტარ მიწას რწყავდა. ეს იყო და ეს, მეფის მთავრობას საქართველოში ირიგაციის მხრივ ამის მეტი არაფერი გაუკეთებია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი ფართოდ გაშლილიყო საქართველოში საირიგაციო მშენებლობა. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტებს გასაბჭოების პირველი დღიდანვე მიუთითებდა მორწყვის აუცილებლობის შესახებ. ბელადის ეს მითითება საპროგრამო ამოცანად იქცა ჩვენი ხალხისათვის და საქართველოში ფართოდ გაიშალა სარწყავი სისტემების მშენებლობა. დაწყებულ იქნა ტირიფონის, ქვემო ალაზნის, „ბაშველის", საბჭოთა და სხვა სისტემების მშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე შეუდგნენ საქართველოს მშრომელები აგრეთვე კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობის სამუშაოებს. მანამდე ამის შესახებ ჩვენს ხალხს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო.

ხუთწლედებში საირიგაციო მშენებლობა კიდევ უფრო მეტად გაიშალა. დღის წესრიგში დადგა საკითხი ისეთი რთული საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობისა, როგორიც არის ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემები. მაგრამ სამამულო ომმა სხვებთან ერთად სამგორის მშენებლობაც შეაჩერა.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი და სამგორის სარწყავ სისტემათა მშენებლობის განხორციელება შესაძლებელი გახდა. 1946 წელს შეიქმნა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამმართველო „სამგორწყალმშენი". პარალელურად, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ტრესტი „წყალმშენი", რომელიც აწარმოებდა ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში საირიგაციო სისტემების მშენებლობას (ტაშისკარის, მუხრანის, თეზი-ოკამის, საოთვისის და სხვ.). შემდგომში ეს ორი სამშენებლო ორგანიზაცია გაერთიანდა ერთ სამშენებლო სამონტაჟო ტრესტად „წყალმშენად", რომელიც ექვემდებარება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

ტრესტ „წყალმშენს" გარდა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედის ტრესტები: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემისა „ალაზანმშენი" და „კოლხიდმშენი".

საირიგაციო მშენებლობათა ინდუსტრიალიზაციის მიზნით სამინისტრომ ააშენა და მწყობრში ჩააყენა რკინაბეტონის ნაკეთობათა დიდი ქარხანა, რომელიც რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებით ამარაგებს რესპუბლიკის სარწყავი სისტემების მშენებლობას.

ძალიან დიდი და მეტწილ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მუშაობაში პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით მომარაგებას, რომელიც მინდობილი აქვს სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტს „საქსახწყალპროექტს".

ინსტიტუტის მაღალკვალიფიციერ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს განუწყვეტელი კონტაქტი აქვს მშენებლებთან, ოპერატიულად წყვეტს მშენებლობის პროცესში წამოჭრილ საკითხებს და ამით დიდად უწყობს ხელს სამუშაოთა წარმოების რიტმისა და ტემპის შენარჩუნებას.

დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე ჩვენი სამინისტროს ტრესტი „ორგწყალმშენი". სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით ბევრი საკითხი მუშავდება „ორგწყალმშენის" მუშაკების უშუალო მონაწილეობით.

სწორედ ამ ორგანიზაციების კოლექტივებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი შრომის მეოხებით გასულ-ხუთწლედში ხალხის სამსახურში ჩადგა 39.000 ჰექტარზე მეტი ახლად გასარწყავებული მიწები, 60.700 ჰექტარზე რეკონსტრუქრებული სარწყავი ქსელი, 51.000 ჰექტარი გაწყლოვანებული საძოვარი, 7.400 კვადრატული მეტრი სანაოსრეტელი ფართობი და სხვ. აგებულ იქნა ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საირიგაციო სისტემები, როგორიც არის ზემო და ქვემო სამგორის, ტაშისკარის, თელეთის, კავთისხევის, საგურამოს, ენამეთის და სხვები.

შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე. ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომლის მშენებლობაც ძირითადად 1970 წელს დამთავრდა, შედის სამგორის სისტემის კომპლექსში. სამგორის საირიგაციო სისტემები თოვლისწინების გარდაბნის, საგარეჯოს, აგრეთვე გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების და თბილისის ირგვლივ მდებარე მიწების მორწყვას.

მშენებლობა გაყოფილი იყო ორ რიგად: პირველი — ზემო სამგორის სარწყავი სისტემა (გარდაბნის რაიონი და თბილისის ირგვლივ მდებარე მიწები. მშენებლობა დამთავრდა მეშვიდე ხუთწლედში) და მეორე — ქვემო სამგორისა (საგარეჯოს და ნაწილობრივ გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების მიწები). ორივე სისტემა აგებულია მდინარე იორის ჩამონადენის ბაზაზე. იორის წლიური ჩამონადენი რეგულირებულია სიღნისა და თბილისის წყალსაცავებით, რომელთა საერთო სასარგებლო მოცულობა ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრამდე აღწევს. (ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი ფართობი 1952 წლიდან).

ამ სისტემამ გაიარა 250 კილომეტრზე მეტი სიგრძის მაგისტრალური არხები, ხოლო განმანაწილებელი ქსელის საერთო სიგრძე 1500 კილომეტრს აჭარბებს.

რელიეფისა და გეოლოგიის სირთულემ განაპირობა სამგორის სისტემებზე დიდი რაოდენობით აგებულიყო მნიშვნელოვანი ხელოვნური ნაგებობანი (გვირაბები, დიუკერები, გალერიები, ხიდები და სხვ).

ზემო სამგორის ტერიტორიაზე გაჩნდა ახალი სოფლები (გამარჯვება და ახალი სამგორი), საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო წამოწყებები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან თბილისსა და რუსთავს და ამარაგებენ ამ ქალაქების მშრომელებს ბოსტნეულით, ხილით, ყურძნით და სოფლის მეურნეობის სხვა მრავალგვარი პროდუქტებით.

თბილისის გაგრძელებას წარმოადგენს მიწები, რომლებიც თელეთის მექანიკური არხით ირწყვება. მდინარე მტკვრის წყალი ორი ძლაგრი სატუმბავი სადგურით ადის 230 მეტრ სიმაღლეზე და რწყავს 4.500 ჰექტარ მიწას. ამ სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კუმისის ტბა. სპეციალური გვირაბით ეს ტბა დაცლილ იქნა მკვდარი-ზღაშ წყლისაგან და შეივსო მტკვრის მტკნარი წყლით, რის შედეგადაც იგი გადაიქცა მნიშვნელოვან თევზსაჭერ მეურნეობად.

ასევე აღსანიშნავია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კავთისხევის მექანიკური მორწყვის სისტემა კახის რაიონში. აქაც ისე, როგორც თელეთისაზე, წყალი ორი სადგურით იქაჩება 250 მეტრ სიმაღლეზე და რწყავს 2.260 ჰექტარ ფართობს.

ათას ჰექტარზე მეტსა რწყავს წითელი წყაროს რაიონში მძლავრი სატუმბავი სადგური ენამეთისა. მცხეთის რაიონში აღსანიშნავია საგურამოს სარწყავი სისტემა. კახპის რაიონში სწრაფად შენდება თეძამის სარწყავი სისტემა.

დასავლეთ საქართველოში ტრესტი „წყალმშენი" აწარმოებს ჩაის პლანტაციების ხელოვნური დაწვიმებით მორწყვის სისტემების მშენებლობას. ხელოვნური დაწვიმება შედარებით მაკლე დროში მოიწყო ლესიტინეს, ლაითურის, ზედა სიმონეთის, აკეთი-ანაგეთის ჩაის პლანტაციებში, რის დეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პლანტაციებში ჩაის ფოთლის მოსავალი.

ახალ ხუთწლედში მეტად საპატიო ამოცანების დაუსახა საქართველოს მოსპარობამ ტრესტ „წყალმშენს" კოლქიზეთ-ფოთის ტბის ირგვლივ. ხუთწლედის მანძილზე მარტო ირიგაციაზე 140 მილიონის განეთმის სამუშაოები უნდა შესრულდეს. უნდა გასარწყავდეს 30 ათასი ჰექტარი მიწები, ჩატარდება სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია 19 ათას ჰექტარზე, გათვალისწინებულია სარწყავი წყლით მოსარგებების გაუმჯობესება 56,6 ათას ჰექტარ ფართობზე, მოეწყობა საძოვრების გაწყლოვანება 100 ათას ჰექტარზე, ხოლო 150 ათას ჰექტარ საძოვარზე ჩატარდება არსებული სისტემების რეკონსტრუქცია.

საირიგაციო მშენებლობასთან ერთად ტრესტ „წყალმშენის" სამუშაო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წყალსაღებების მშენებლობას და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. ამაზე ახალ ხუთწლედში დაიხარჯება 45 მილიონ მანეთამდე. ჩატარდება მტკვრის, რიონის, ლიახვის, ჭოროხის, აყირილის, კოდორის და სხვა მდინარეებისა და ხევების ნაპირსამაგრი სამუშაობი. ამ ნაგებობათა ჩარეცხვისა და დატბორვისაგან უნდა დაიცვან საზოგადოებრივ მეურნეობათა მიწები.

მეორე წელია, რაც დაიწყო სიღნაღის სარაიონთაშორისო კოოპერირებული წყალსადენის მშენებლობა. იგი სასმელი წყლით მოამარაგებს კახეთის სამი რაიონის (ლაგოდეხის, სიღნაღისა და წითელწყაროს) მშრომელებს.

დღემდე არსებული სასოფლო წყალსადენებიდან სიღნაღის სარაიონთაშორისო წყალსადენი ყველაზე მძლავრი იქნება. მისი სადღეღამისო დებიტი 150 ათას კუბურ მეტრს გადააჭარბებს. სასმელ წყალს მიაწვდის 100-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს. ესენი შორის ქალაქებს: სიღნაღს, ლაგოდეხს, წითელწყაროსა და ჩიორს ამ წყალსადენის ტერიტორიაზე ცხოვრობს 50 ათასამდე მუშაკი.

ტრესტ „წყალმშენის" 4000-ან ადამიანზე მეტს აქვს ორგანიზებული გაორთვა. ამ პასუხსაგებ დავალებათა შესრულების საქმეს. ჩვენ შევძელით შეგვეჩინა და სამშენებლო სამმართველოების უფროსებად წამოგვეწია ისეთი ინიციატივიანი და გამოცდილი ხელმძღვანელები, როგორიც არიან: შ. ყიასაშვილი, ნ. ინწაძე, მ. სანაძე, ნ. მაღრაძე, რ. რუხაძე, ვ. ხურციოლავა, შ. სიბოშვილი, ვ. ვასაძე და სხვები.

მათ მხარში უდგანან და თავისი ნაყოფიერი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ სამუშაოების ხარისხიანად შესრულებისა და სიმძლავრეების ვადაზე ამოქმედების საქმეში მოწონავე მუშებს. მათი რიცხვი არ არის მცირე, ყველას დასახელება საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია და ამიტომ ზოგიერთი მათგანის დასახელებითაც უნდა დავამყაროთ ლაპარაკი. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მეექსკავატორე მ. მამულაშვილი და მებულდოზერე პ. დვორნიკოვი, მათ ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ როგორც საკავშირო კონკურსში გამარჯვებულებს.

არანაკლები ენერგიითა და მონდომებით იბრძვიან მაღალი მაჩვენებლებისათვის ბ. მამრიკაშვილი, ა. კიბინაშვილი, ე. სამბელაშვილი, თ. ლომიძე, ო. გოლუბიანი, გ. მიხაკიანი, ი. კაკაშვილი, ა. მამულაშვილი, ი. მუსიევი, ხ. მეხსიშვილი, დ. ბუდეკინო, შ. ძამაშვილი, ო. მაჭავარიანი, ხ. მალხაზიანცი, ს. ღლონტი, ვ. კუპრაშვილი, ხ. გასანოვი და სხვები.

ჩვენი კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ ახალი ხუთწლედის დაგალება ვადაზე ადრე შეასრულოთ.

შ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის" მმართველი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახალი საქსოვ-გამკერავი მანქანა შეიქმნა. იგი განკუთვნილია ტილოს, კუპონის, მტკაცე ხტრუქტურის ცალმხრივი ტრიოტაჟის ნაწარმისა და სთიეშო უკვანძო ტრიკოს წარმოებისათვის. ახალმა მანქანამ ინსტიტუტის საცდელ-ექსპერიმენტალურ საწარმოში ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო გამოცდა წარმატებით გაიარა.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1972-1975 წლებისათვის 30 მანქანების 200 ეგზემპლარის დამზადება შეუკვეთა. შეკვეთებს ლენინგრადის მანქანათმშენებლობის გაერთიანება „ვულკანი" შეასრულებს. სურათზე: ახალი მანქანის პროექტის ერთ-ერთი ავტორთაგანი ტრიოტაჟის განყოფილების უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ცხადაძე, უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი გალინა ფედოროვა და ტრიოტაჟის წარმოების ტექნოლოგი ირინა მიქაელიანი.

ფოტო რ. ᲙᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐᲡᲘᲡ (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საბჭოთა მეცნიერების განვითარება...

საჭიროა მეცნიერთა მეცადინეობა მოვახმაროთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას, განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან... თვითეულ მეცნიერულ კოლექტივში შეიქმნას ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება, ნაყოფიერი დისკუსიების, მეცნიერთა ურთიერთმოსმენისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო...

პარტიის თეორიულმა ძალებმა კვლავაც უნდა დაამუშაონ თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების აქტუალური პრობლემები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტური შენებლობის საკითხები.

სკკპ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის იდეურ-ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მოსკოვში გასული წლის მიწურულში დამფუძნებელ კრებაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ფილოსოფიური საზოგადოება. ეს არის იმ დიდი ზრუნვისა და ყურადღების შედეგი, რომელსაც ფილოსოფიის მიმართ იჩენს კომუნისტური პარტია.

მეორე მხრივ ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფილოსოფიის საზოგადოებრივი როლი და მეცნიერული ღირებულება, საერთოდ ფილოსოფიური კულტურა ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო იზრდება.

დამფუძნებელი კრება შესაბამი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ოყდოლეევმა. მოხსენება — „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები — ფილოსოფიური საზოგადოებრიობის ამოცანები" გააკეთა აკადემიკოსმა ფ. კონსტანტინოვმა. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა საბჭოთა ფილოსოფოსმა-სპეციალისტებმა, ბუნებისმეტყველების ცნობილმა წარმომადგენლებმა. ჩვენი რესპუბლიკიდან კამათში გამოვიდა პროფესორი ვ. ქეგიხანა. გამგეობაში საქართველოდან არჩეულია პროფესორი ნ. ბოჭორიშვილი, სარედაქციო კომისიაში — პროფესორი ო. ბაკურაძე. საბჭოთა კავშირის ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტად არჩეული იქნა აკადემიკოსი ფ. კონსტანტინოვი. მიღებული იქნა დებულება ფილოსოფიური საზოგადოების შესახებ და მიმართვა ყველა საბჭოთა ფილოსოფოსისადმი.

ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ ერთგვარად შეაჯამა და შეაფასა ჩვენს ქვეყანაში ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების შედეგები. თვალსაჩინო გახდა როგორც დიდი მიღწევები, ისე ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს მას.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, თანამედროვე მეცნიერების და საზოგადოებრივი პრაქტიკის მიერ დაყენებული ამოკითხვებისადმი შეუნელებელი ყურადღება, პარტიულობის და მეცნიერულობის ორგანული შერწყმა, მტრული იდეოლოგიური შეხედულებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა — აი რით ხასიათდებიან ჩვენი ფილოსოფიური მეცნიერებანი. ყოველივე ამან გაზარდა ფილოსოფიის ავტორიტეტი, გადაიქცია იგი კომუნისტური შენებლობის, საბჭოთა საზოგადოების სულიერი განვითარების, ახალი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად.

ჩვენს ქვეყანაში ფილოსოფოსსპეციალისტთა მრავალათასიანი კოლექტივი შრომობს. მოკავშირე ცხოვან უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებში.

ფართოდ რომ აღინიშნა ფილოსოფიურ მეცნიერებათა მიღწევები ჩვენში, ამავე დროს ხაზი გასესვა იმ გარემოებას, რომ კომუნისტური შენებლობა, რომელიც მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის და სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გამწვავებული ბრძოლის ვითარებაში, თვითონ ფილოსოფიური მეცნიერებების შინაარსი განვითარება საბჭოთა ფილოსოფოსებისგან მოითხოვს მათი პროფესიული დახელოვნებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის განუხრელ ამაღლებას. ფილოსოფიური კვლევის ფართოდ გაშლამ და ფილოსოფიური ლიტერატურის ექსტენსიურმა და ინტენსიურმა ზრდამ ბევრი პრობლემა და გადასაწყვეტი საკითხი წარმოშვა.

ფილოსოფიურ კვლევაში მეცნიერთა დიდი რაოდენობის ჩაბმამ, მეცნიერული კვლევის დიფერენციაციამ და სპეციალიზაციამ აუცილებელი გახადა განსხვავებულ სამეცნიერო კოლექტივებს შორის, ცალკეულ მეცნიერთა შორის მეცნიერული კვლევის კოორდინაცია.

კოორდინაცია კვლევის ეფექტურობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა გახდა. ამჟამად უკვე არაა საკმარისია სპეციალიზებულ სამეცნიერო კოლექტივებს შორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკის და გეგმების შეთანხმება. ზოგჯერ უფრო მიზანშეწონილი ხდება ამა თუ იმ პრობლემაზე ერთი მთლიანი სამეცნიერო-საკვლევი, პრობლემური ჯგუფის ჩამოყალიბება. ასეთი შემოქმედებითი კოოპერაციისა და ინტეგრაცია უდავოდ ნაყოფიერი იქნება.

როგორც დამფუძნებელ კრებაზე აღინიშნა, ფილოსოფიური ლიტერატურის რაოდენობრივი სიუხვის პირობებში (ყოველწლიურად ჩვენში 500-600 მოხოგრაფია და წიგნი ქვეყნდება) განსაკუთრებით მწვავედ დგება ფილოსოფიური პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხი. ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. განსაზღვრა ისეთი პუბლიკაციები, რომლებშიც არც პრობლემებია დასმული და არც ანალიზია მოცემული. შექმნილი ფილოსოფიური პროდუქცია ბევრ შემთხვევაში ვერ პოულობს ადეკვატურ შეფასებას. სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. რეცენზიის ადგილს ეკავებს გაშლილი ანოტაციები.

დისერტაციების დაცვაში მოიმატა, ხოლო ზოგ შემთხვევაში დომინანტური გახდა ფორმალიზმი. მართალია, ფილოსოფიური კადრები მეტი-ნაკლები არ არის, მაგრამ ბევრი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა და თემა ჯერ კიდევ არ გამხდარა საბჭოთა ფილოსოფოსების კვლევის საგანი. ამავე დროს ერთსა და იმავე თემაზე პუბლიკაციების რაოდენობა წლითწლობით მატულობს.

სწორედ ამ და სხვა ამოცანების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ფილოსოფიურმა საზოგადოებამ.

ჩვენს რესპუბლიკაში ფილოსოფიაში, სოციოლოგიასა და მეცნიერულ კომუნიზმში მრავალფეროვანი თეორიული კადრები ეწევიან სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას. ყველა ის სიძნელე და პრობლემა, რომელიც ზემოთ აღინიშნეთ, თავისებური ელფერით დამახასიათებელია ჩვენი სამეცნიერო კოლექტივისთვისაც. გარდა ამისა, გადასაწყვეტი გვაქვს ბევრი ჩვენი სპეციფიური პრობლემაც. უახლესს ხანში ფილოსოფიური საზოგადოება ჩვენს რესპუბლიკაშიც ჩამოყალიბდება. ვფიქრობთ, რომ იგი ეფექტურ საშუალებად გადაიქცევა ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

სკკპ XXIV ყრილობამ თავისი ისტორიული გადაწყვეტილებებით საბჭოთა ფილოსოფიური მეცნიერება კიდევ უფრო დაუკავშირა პრაქტიკას, ცხოვრებას, შეაცოცხლა იგი და წარმართა კომუნიზმისათვის მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ გადამწყვეტი შტურმისათვის. რევიზიონიზმის, ბურჟუაზიული მიმდინარეობების ყოველმხრივი მხილება და კრიტიკა ერთდროული კამპანია კი არ არის, არამედ ჩვენი ფილოსოფოსების მუდმივი მოგალობა. ფილოსოფიაში შემოქმედებითი აქტივობის ზრდა ცხოვრების მოთხოვნაა.

რ. ᲙᲕᲘᲢᲘᲜᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის ფილოსოფიის და მეცნიერული კომუნიზმის განყოფილების ხელმძღვანელი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲨᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

ᲙᲐᲠᲑᲝ სოფელია ღორეშა. მისი მშვენება და ნიამაყეა სერგო ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმი, მზრუნველობით მოვლილი ბალ-ვენახები და ციმბლის ყანები, ტანაყრილი ტყეები და ანკარა მდინარეები, ლამაზი ოდები და ცივი წყაროები, რაც მთავარია, გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანები. ერთი მათგანია საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი ივანე მიხეილის-ძე ორჯონიკიძე.

მან შვიდ ათეულ წელს მიაღწია, მაგრამ მხნედ, ჭარმაგად გამოიყურება. მისი მოუღლელი მარჯვენა ატყვია საკოლმეურნეო და ბირად ვენახს, ღორეშის მიდამოებს...

ეს მოუსვენარი ბუნების ადამიანი ახალგაზრდობას ასწავლიდა რუსულ ენას, ზეზე ამოწვეს ხელოვნებას, ძერწვას... ივანე ხუთი წელია, რაც პენსიაზე გავიდა, მაგრამ მას უსაქმოდ ვერ ნახავთ. ეზდამ ახალგაზრდებთან ერთის, ხალხში ტრიალებს, მათ ესაუბრება, შრომაგარ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ჯ. ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲔᲣᲜᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲯᲣᲤᲕᲚᲐᲓ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲮᲐᲢᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲯᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲖᲔᲣᲠᲐ Ჯ. ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲐᲮᲓᲘᲜᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲐᲠᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲯᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲖᲔᲣᲠᲐ Ჯ. ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲐᲮᲓᲘᲜᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲐᲠᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲠᲥᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲐᲞᲐᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲯᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲖᲔᲣᲠᲐ Ჯ. ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ



ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ი. თედიაშვილი

ცხინვალი

△ ზონკარის წყალსაცავი ▲ ფერმები, მექანიზაცია ▲ სპეციალისტთა საცხოვრებელი სახლები △ აშენებენ სკოლებს ▲ ფართოვდება სავაჭრო ქსელი ▲ მომხსენებელი მთაში △ დიდდება ბაღების ფართობი.

ცხინვალის რაიონში მეცხრე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მშენებლობაა ზონკარის წყალსაცავი. იგი ამენდება ბდინარე პატარა ლიახვზე, სოფელ ზონკართან. წყალსაცავი დაიტევს 45 მილიონ კუბმეტრ წყალს. წყალსაცავის ძირითადი ამოცანაა რეგულირება მოახდინოს ტირიფონის არხისათვის სარწყავი წყლის მიწოდებაში! ამასთან დაკავშირებით, რომ დიდი ლიახვის წყალს ძირითადად წყიდებს ზნაურის სარწყავი სისტემა, რომლის მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს, საჭირო გახდა დიდი ლიახვიდან შეწყდეს ტირიფონის არხისათვის წყლის მიწოდება (წყლის სიმცირის გამო) და ჩაირთოს ჯატარა ლიახვზე. მშენებლობის დაპროექტება დამთავრდა და მალე სამუშაოები გაიშლება.

აიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი სადგომების მშენებლობას, ფერმების მექანიზაციას. უკანასკნელ წლებში აშენდა ძარწემის კოლმეურნეობაში, გრომის საბჭოთა მეურნეობაში, სახმორეები — სოფლებში დმენისში, ქსუისში, საღორეები — სოფელ დისევში, კეხვში. ფერმების მექანიზაცია მოეწყო ერედვის, თამარაშენის, არცევის, გრომის საბჭოთა მეურნეობებში, დიხევისა და ქემერტის კოლმეურნეობებში.

რაიონში იხოდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიცხვი. ამასთან დაკავშირებით ფართო მასშტაბით გაიშალა მათთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ერედვის საბჭოთა მეურნეობაში სპეციალისტებისათვის აშენდა 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ასეთივე შენობები აიშენეს არცევის, თამარაშენისა და გრომის საბჭოთა მეურნეობებში.

საშუალო სკოლების ახალი შენობები აშენდა სოფლებში ერედვში, არცევში, ქსუისში, ხეთაგუროვში. დაწყებითი სკოლის ახალი შენობა ააშენა დისევის კოლმეურნეობამ. მალე დაიწყება საშუალო სკოლის მშენებლობა სოფელ კეხვში.

ყოველწლიურად იზრდება სოფლის მაღაზიების, პავილიონების, სასაუზმეების რიცხვი, უკანასკნელ ორ წელიწადში ახალი მაღაზიები გაიხსნა სოფლებში ქსუისში, არცევში, ხეთაგუროვში, ქემერტში, სასაუზმეები — კეხვში, აჩაბეთში, დისევში. აშენდა აგოეთვე რამდენიმე საცხობი რაიონის დაშორებულ სოფლებში.

იზრდება მთის სოფლის კულტურა. სოფლის ადამიანები სულ მრავლს გამოთქვამენ მოსისმენლ ლექციები, მოხსენებები თანამედროვეობის საკითხებზე. ცხინვალის რაიონის სოფლებში ძარში, ბიაურში, ბერში და ბევრ სხვა მთის სოფელში 1971 წელს 500-მდე მოხსენება ჩატარდა პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოსა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის და სხვა საკითხებზე. მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ემბაღმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროა ცხინვალის რაიონში, ამიტომ სისტემატურად იზრდება მათი ფართობი. მარტო უკანასკნელ 10 წელიწადში ახალი ბაღები გაშენდა 400 ჰექტარზე. ახალი ბაღების საერთო ფართობი რაიონში 2.100 ჰექტარია.

სურათზე: საშუალო სკოლის ახალი შენობა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვში.

ფოტო მ. ალბოროვისა.

საქართველოს ფთა-ბაღში

სამეცნიერო სესია გელათის აკადემიაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). იქ, სადაც 800 წლის წინათ უმაღლესი განათლების კერა — ქართული აკადემია მოქმედებდა, ამ ერთი წლის წინათ ხფუძველი ჩაეყარა დიდ ეროვნულ და კულტურულ საქმეს — გაიხსნა გელათის სახალხო აკადემია.

განვლილ პერიოდში სახალხო აკადემიის მეცადინეობებმა, რომლებზეც ლექციებით გამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, აკადემიის მსმენელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ამ დღეებში გაიმართა გელათის სახალხო აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა სესიის მონაწილეებს მიულოცა კულტურის ამ ახალი კერის შექმნა და გელათის აკადემიის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი ნაშრომები.

სამეცნიერო სესიაზე გელათის სახალხო აკადემიის სასწავლო პროგრამის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი. სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „გელათის მოზაიკა“ მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა. ხოლო მესამე საკითხზე — „ძველი კოლხეთის ცივილიზაცია“ — პროფესორმა ოთ. ლორთქიფანიძემ.

სესიამ, რომლის ჟურნალობაში ფართო აუდიტორია მონაწილეობდა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

შ. ჯავახაძე.

მაღალმთიანი სოფლის სიკეთე

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). ჩქაფერი მაღალ მთებს შორის არის მოქცეული. იგი ერთ-ერთი შორეული სოფელია ფალენჯიხის რაიონში, მაგრამ მისი გამრჯე ადამიანების წყალობით იგი პატარა ქალაქს მოგაგონებთ.

ხუთწლედის პირველ წელს ჩქაფერის კოლმეურნეობამ, რომელსაც ახალგაზრდა აგრონომი მანტი ძაძამია უძღვება, ააშენა საკოლმეურნეო სტადიონი, ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, აგრეთვე საადილო-პავილიონი. საბავშვო ბაღის შენობას მიუშენდა ახალი ოთახები. გორაკზე ენინრზენში გაიყვანეს სამანქანო და შიდასამანტაციო გზები.

დაიწყო 100-ნომრიანი „ატს“-ის მშენებლობა. სოფლის ყველ მეორე ოჯახს, სკოლას, საექიმო უბანს, მეცხოველეობის ფერმებს, ბრიგადებს ტელეფონი ექნებათ.

სიახლე მკურნალოგაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ფიზიოთერაპიის რესპუბლიკური საავადმყოფოს შექმნიდან არც თუ ისე დიდი დრო გავიდა, მიუხედავად ამისა, მისი სახელი გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. აქ მრავალი ასეული ადამიანი გაკურნეს. საავადმყოფოს კოლექტივს კომუნისტური შრომის სატიტო წოდება აქვს მინიჭებული.

ახლახან ფიზიოთერაპიის საავადმყოფოს შეეფარა ბალნეოლოგიური განყოფილება. მოეწყო ტანგბადისა და ნახშირორჟანგის აბაზანები, შარკოს, შოტლანდიური, ცირკულარული შხაპები, ავადმყოფებს მკურნალობენ სხვადასხვა სამკურნალო ტალახებით, პარაფინთერაპიით, რასაც საუკეთესო შედეგი მოჰყვა. აქ ყოველდღიურად 150 კაცი იღებს სხვადასხვა პროცედურას.

საქვირაოს გორაზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ძირულის სასოფლო საბჭოში არის პატარა მთავრიანი სოფელი განთიადი. 150 ვაჟკაცი გაიცალეს დიდ სამამულო ომში განთიადელებმა. 61 მებრძოლი ვერ დაუბრუნდა შშობლიურ კერას. თანამოფლელებმა გადაწყვიტეს შინმოუსვლელთა სხოვნის უკვდავყოფა და ეს ჩანაფიქრი კიდეც განახორციელეს.

განთიადელებმა ერთ კარგ ადგილას — საკვიროს გორაზე აღმართეს შინმოუსვლელთა სტენდი ფოტოსურათებით და დარგეს 61 მარადმწვანე მცენარე მამაცი მებრძოლების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

სახლი ექიმებისათვის

წყალტუბო. (საკ. კორ.). პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიულმა სამმა ფრუნზეს ქუჩაზე ექიმებისათვის აშენა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცა 5-სართულიანი 50-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

თბილისში თოვს.

ფოტო მ. სანაიასი.

„ორერა“ მალაიურად მღერის

ინდონეზია ფართოვდება სავაჭრო კავშირი და სინგაპურის რესპუბლიკის კულტურული კონტაქტები. ამას წინათ აქ დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა მხატვრების გასტროლებმა. მაყურებლების აღტაცება გამოიწვია სიმღერამ „სურარამმა“, რომელიც ანსამბლმა „ორერამ“ მალაიურად — სინგაპურის რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე შეასრულა.

1972 წელს ნავარაუდევია სინგაპურში მოეკვეთეთა ანსამბლ „ყაბარდოელი ქალის“, საბჭოთა მევიოლინეების, პიანისტების, ლენინგრადის ბალეტისა და სხვა კოლექტივების ჩამოსვლა.

საბჭოთა ადამიანები, თავის მხრივ, გაეცნობიან სინგაპურის მხატვართა სურათების გამოფენას, ფოტოსურათების გამოფენას. დასახულია სატელევიზიო პროგრამების გაცვლა, კონტაქტები კინემატოგრაფიის დარგში. ახლა სინგაპურში იმყოფება დიდი ჯგუფი საბჭოთა მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნეებისა და სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობენ აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა პრობლემებს, სრულყოფენ ენის თავიანთ ცოდნას სინგაპურისა და ნანიანის უნივერსიტეტებში.

(საკდესი).

ორი ეზე ქალაქში

პამჩატკის პეტროპავლოვსკი, 6 იანვარი. (საკდესის კორ.). კამჩატკის პეტროპავლოვსკის მცხოვრებლებმა დღეს იხილეს ბუნების საინტერესო მოვლენა. ნაშუადღევს ცის კამარაზე გამოჩნდა მეორე მზე, თუმცა არც ისეთი კაშკაშა, როგორიც ნამდვილია.

— ეს ჰალოა — ოპტიკური მოვლენა, რომელსაც იწვევს ღრუბლებსა და ნისლში არსებულ ყინულის კრისტალებში სინათლის გარდატეხა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს კამჩატკის ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს ამინდის ბიუროს უფროსმა ი. ნ. სერგეევამ. — ამ შემთხვევაში პატარა ყინულის კრისტალებში გარდატეხილმა მზის სხივებმა წარმოქმნეს ცისარტყელას ფერებად შეღებილი დისკო და ხალხმა დაინახა მეორე მზე.

ეს იქნება 1972 წელს

როდესაც ახალი წლის სპორტულ სეზონზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით საპოროსა და მიუნხენის ოლიმპიადებს, რომლებსაც არა მარტო საკავშირო სპორტულ კალენდარში, არამედ მსოფლიო მასშტაბით პირველი ადგილი უჭირავთ. მიუნხენის ოლიმპიადა ბევრად უფრო მრავალმხრივი იქნება. მის პროგრამაში შეტანილია ახალი სახეობები — ძიუ-დო, მშვილდოსნობა, ხელბურთი, წყლის სლალომი.

ამ ასპარეზობებთან ერთად წლის განმავლობაში სპორტის მოყვარულნი არა ერთი ჩემპიონატის, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირის მოწმენი იქნებიან. მაგალითად, ჩვენი ფიგურისტები და ჩქაროსნული მოცეკვავეები ჯერ კიდევ სპორობი გამბზავრებამდე ჩაებმებიან ევროპის ჩემპიონატებში, ხოლო „თეთრი ოლიმპიადის“ დამთავრების შემდეგ მონაწილეობას მეილენენ მსოფლიო პირველობის გათამამებაში; გადეყნობით სპრინტერ ჩქაროსნულ მოცეკვავეთა მრავალჭიდში გამარჯვებულებს. გათამამდება ევროპის თასი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში.

გარდა ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადებისა გათამამდება კიდევ ერთი — საუადრაკო ოლიმპიადა. ასპარეზობები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებისათვის მოეწყობა იუგოსლავიის ქალაქ სკოპლეში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ევროპის ჩემპიონატი სამბოში მოაწყოს საბჭოთა კავშირში.

მართალია, ოლიმპიადების გამო ნაწილობრივ შემცირდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების რიცხვი, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა იუნიორთა ჩემპიონატები. ერთ-ერთი მთავარი ჭიდაობა ძიუ-დოში ნავარაუდევია მოეწყოს ლენინგრადში.

აი 1972 წლის წამყვანი საერთაშორისო ასპარეზობანი:

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ცეკვაობაში მოეწყობა 11-16 იანვარს გეტებორგში, ჩვენი კონტინენტის პირველობა ჩქაროსნულ ცეკვაობაში ქალთა შორის — 15-16 იანვარს ინცელში, ევროპის ჩემპიონატი ჩქაროსნულ ცეკვაობაში ვაჟთა შორის — 22-23 იანვარს დავოსში.

ზამთრის „თეთრი ოლიმპიადა“ გაიმართება საპოროში 3-13 თებერვალს, საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში — თბილისში 4-6 თებერვალს, მსოფლიოს პირველობა ჩქაროსნულ ცეკვაობაში ვაჟთა შორის 19-20 თებერვალს ოსლოში. მარტის ასპარეზობები იწყება ჭიდაობით. მინსკში 2-დან 5 მარტამდე გაიმართება ი. პოდდუბნის პრიზის გათამამება კლასიკურ ჭიდაობაში. 4-5 მარტს დევენტერში ჩქაროსნულა მოცეკვავე ქალები გაითამაშებენ მსოფლიოს პირველობას, ხოლო ფიგურისტებს პაექრობა ექნებათ კანადის ქალაქ კალგარში 6-12 მარტს. აპრილის წამყვან ასპარეზობას წარმოადგენს მსოფლიოსა და ევროპის პირველობის გათამაშება შაობიან ჰოკეიში, რომელიც პრაღაში გაიმართება 7-22 აპრილს. ამავე თვეში (24-30) კატოვიცაში მოეწყობა ევროპის ჩემპიონატები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

მაისის საერთაშორისო შეხვედრებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მშვიდობის ველოსიპედოსს მარშრუტით ბერლინ-პრაღა-ვარშავა და ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებისათვის უეფა-ს თასის გათამაშების ფინალურ ტურნირს ესპანეთში. ივნისის კალენდარში პირველ რიგში აღსანიშნავია გაზეთ „პრავდის“ პრიზის გათამაშება მძღოლსობაში (7-8) და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ფეხბურთში (14-18). 26 აგვისტოს სტარტს აიღებს და 10 სექტემბრამდე გასტანს მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიადა. ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის მოეწყობა ბულგარეთში 8-15 ოქტომბერს.

ჭადრაკი

ლიდერობს ა. კარპოვი

ინგლისის ქალაქ მასტინგსში მიმდინარეობს საახალწლო საჭადრაკო ტრადიციული ტურნირი ვაჟთათვის. კვლავ წარმატებით გამოდის ლენინგრადელი ახალგაზრდა გროსმაისტერი ანატოლი კარპოვი, მერვე ტურში მან კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში, ამჯერად დაამარცხა მასპინძელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი მაიკლ ფრენკლინი. ახლა ა. კარპოვს 7 ქულა აქვს და ლიდერია.

მეორე ადგილზე იმყოფება მეორე ლენინგრადელი გროსმაისტერი ვ. კორჩნოი, რომელსაც აქვს 5 ქულა და 1 გადადებული პარტია ბრაზილიელ მოჭადრაკესთან — ენრიკე-კოსტა მეკინგთან.

ამრიგად, ტურნირზე გავლილია დისტანციის ნახევარი, დარჩა 7 ტური.



ქართული ენციკლოპედია

ღვინის კოლექციის მომავალი

საბჭოთა ღვინოების ასორტიმენტის 600 დასახელებიდან 200 სამარკოა. ჩვენი ქვეყნის ღვინის მრეწველობაში საქართველოს მეღვინეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ახალ ხუთწლედში მეღვინეობის ნედლეულის ბაზის გაფართოებასა და ჟანტარეულ ყურძნის საშუალო მოსავლიანობის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია მეღვინეობის წარმოების შესაბამისი გაფართოება. ეროვნულ-საბჭოთა მეურნეობებმა, ბაღმეურეობა-ვენახეობა-ღვინეულობა-ბაღეულობა-ბოსტნეულობა-ბაღეულობა-ბოსტნეულობა-ბაღეულობა-ბოსტნ